

ახალი თაობა



გვ.3


კახა
გოცირიძე:
„რომან
გოცირიძემ
მაუროიტარები
შეაღარა
მამლახს“

4 მაისიდან

სერია
„ქართული საუნჯე“
გაგრძელდება

50 საბავშვო
ლექსი
მაგარი ყდა,
ფერადი

ფასი
გაზეთთან
ერთად
15 ლარი



სუთშაბათი, 4 მაისი, 2017

№104 (7339)

ფასი: 50 თეთრი

ზაზა ხატიაშვილი: „ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმის საყრდენები დაგვასვა თავზე“



გვ.5

გელა ნიკოლაიშვილი:
„მოსამართლეები არ არიან ნაზი
ყვავილები, რომ კრიტიკამ დააჭკნოს“

„ფანტაზიის
ნაყოფი“ —
მურუსიძე
ხატიაშვილის
განცხადებას
პასუხობს



გვ.5

„ევა გოცირიძე
სამართლებრივი
სივრციდან
გამოსულია“

„მაინტერესებს, შერჩა
თუ არა სინდის-ნამუსი“



მამუკა ახვლედიანი ნინო გვენეტაძესთან
მუქარის შემცველი საუბრის
დეტალებს იხსენებს

გვ.5

რომან გოცირიძე:
„კონსტიტუციის განხილვას
ხელისუფლების ბარათი მოვანდობთ“

გვ.2



ნიკა რურუა:

„თავდასული
„ოცნებისთვის“
თავისი ადგილის მისაკუთვნებლად
აქტიურობაა საჭირო“

პაატა
ჯიბლაძე:
„ოცნება“

მაუროიტარულ
სისტემას
დატოვებს“



თორნიკე
შარაშენიძე:
„საქართველოში
ნათოს
საწვრთნელი
გაზის
არსებობა
უსაფრთხოების
გარანტიაა“

გვ.3



გვ.4

„ქართული
ოცნება“
ოპოზიციასთან
ფარულ
მოლაპარაკებებს
ანარმობს





რომან გოშირიძე: „კონსტიტუციის განხილვას ხელისუფლების ბარჯზე მოვანდობთ“



ნონა ცაბაძე

კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვების საორგანიზაციო კომისია შეიქმნა და ის 9 წევრის შემადგენლობით განისაზღვრა. კომისიაში საპარლამენტო ოპოზიციაცაა წარმოდგენილი, ოღონდ ნაციონალების გარეშე.

— კომისიაში, რომელსაც პარლამენტი ქმნის და რომელსაც საყოველთაო განხილვების კომისია ჰქვია, ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ, — უთხრა „ახალი თაობას“ რომან გოშირიძემ.

— რატომ, პატრონო რომან?

— იმიტომ, რომ კომისია, რომელიც პარლამენტში იქმნება, ფორმალურია! ჩვენ არ მივიღებთ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას, ვინაიდან ჩვენ გვექნებოდა ფასადის როლი. ამით ჩვენ გავამყარებდით იმ ილუზიას, რომ მმართველ უმრავლესობას აინტერესებს ხალხის აზრი.

— შეხვედრები გაიმართება მოსახლეობასთან, ხომ შეგეძლოთ იქ დაგეგმილობის საკუთარი პოზიცია და ხალხთან გესაუბრათ ახალი კონსტიტუციის ავტორებიანობაზე?

— ამ შეხვედრებზე ძირითადად იქნებიან გამგებობა და საჯარო სექტორში დასაქმებუ-



ლი ადამიანები, „ოცნების“ აქტივები. ეს გააუქმდება როგორც საერთო სახალხო მხარდაჭერა. ამ დროს ანტისახალხო კონსტიტუციის ვიდეო. ამაში როგორ უნდა მივიღოთ მონაწილეობა?! ხალხს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლებას ართმევენ და განა შეიძლება ეს ვინმეს მოსწონდეს?! ისე დადგამენ სცენარს, რომ ხალხი „აღ-

ფროვანებული“ იქნება ამ უფლების ჩამორთმევით.

— იქნებ უნდა მოსახლეობას, რომ პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს?

— გამორიცხულია. აირჩიოს კვლევებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 75% მხარს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერს. თუმცა „ოცნებას“ როგორც აწყობს, ამ ყველაფერს ისე წარმოაჩენს. ან როგორ უნდა აუხსნას ხალხს, რომ გამარჯვებული პარტია იღებს ბარიერგადალახავი პარტიების მანდატებს. თანაც ბლოკების აკრძალვით შეიძლება მხოლოდ ორმა პარტიამ გადალახოს 5%-იანი ბარიერი.

პოლიტიკური სისტემა ისედაც ჩამოშლილია, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფაქტობრივად გაქრნენ მთავარი მონაწილეები. ახლა დგებიან ზოგიერთები ფეხზე. ამ პროცესს ხელშეწყობა სჭირდება და არა — კიდევ უფრო შევიწროება.

— მაშინ რატომ დათანხმდა ამ კომისიაში შესვლას დანარჩენი საპარლამენტო ოპოზიცია? ისინი ხელისუფლების იმიჯზე ზრუნავენ და ამ ყველაფერს დემოკრატიულ ფონს აძლევენ?

— რატომ დათანხმდნენ, ეს არ არის ჩვენი შესაფასებელი. ჩვენ ვიცით ნათლად ჩვენი პოზიცია თუ რატომ არ დავთანხმდით. იმიტომ ჩვენი პარტია სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად დამოუკიდებლად მოვანწყობთ კონსტიტუციის სახალხო განხილვებს და ვაჩვენებთ საზოგადოებას, თუ როგორ ცდილობს „ოცნება“, გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა, ამის გაკეთება კი ამომრჩევლის აზრის მოშველიებით უნდა!

— შეძლებთ, ხალხს დაანახოთ ხელისუფ-

ლების რეალური მიზნები?

— ჩვენ მივმართავთ როგორც საკუთარ ხალხს, ასევე საერთაშორისო საზოგადოებას. მათ შორის ვენეციის კომისიას.

— ვენეციის კომისია მხოლოდ რეკომენდაციებს იძლევა, ეს შეცვლის რამეს?

— ჩვენ საერთაშორისო ცხოვრების ნაწილი ვართ და ყველა მექანიზმს გამოვიყენებთ, რომ არ მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია არც ამ და არც სხვა ხელისუფლებამ! კონსტიტუციის ერთ პარტიაზე მორგება დაუშვებელია! ის უნდა იყოს ხანგრძლივი დოკუმენტი და არა — ხელისუფლების ყოველი ცვლის შემდეგ შესაცვლელი!

— ასე შეცვალა სააკაშვილის ხელისუფლება და ყველა დანარჩენმა, ვინც ხელისუფლებაში ყოფილა.

— ეს ვერ გამოდგება არგუმენტად, რომ ყველა ხელისუფლებამ საკუთარ ინტერესებს დაუქვემდებაროს ქვეყნის უმაღლესი კანონი! თუ წარსულში იყო შეცდომები, ხალხმა არ უნდა მისცეს არავის მათი გამეორების უფლება. მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტს პირდაპირ ირჩევენ და საკმაოდ კარგად არის დაბალანსებული ხელისუფლების სხვადასხვა შტოები. ერთადერთი, რაც ვერ მოხერხდა, არის მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. თუ გადავდით ნაბიჯი წინ, ეს არ უნდა იყოს ნაბიჯი „ოცნების“ ხელისუფლების სასარგებლოდ. ეს უნდა იყოს ხალხის სასარგებლოდ, დემოკრატიის სასარგებლოდ! ჩვენ აუცილებლად დაველაპარაკებთ ხალხს და ვეცადებთ, რომ ეს კონსტიტუცია არის მისთვის საზიანო!

პაატა ჯიბლაძე: „ოცნება“ მაჟორიტარულ სისტემას დატოვებს“

„პრეზიდენტის არჩევის წესი მთავარ პრობლემად არ მიგვაჩნია“



მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის პოლიტიკურ მდივან პაატა ჯიბლაძეს ესაუბრა.

— კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები დიდ აურზაურს იწვევს. პარტიებმა სხვადასხვა აქტიურობა დააანონსეთ. მათ შორისაა საპროტესტო აქციები, მოძრაობა „დაიცავი კონსტიტუცია“, პლემბისციტისა და რეფერენდუმის მოთხოვნა.

— იმ ცვლილებებმა ყველას მღელვარება გამოიწვია. ჩვენს პარტიას რამდენიმე საკითხზე გვაქვს პრეტენზია. არ ითვალისწინებენ ჩვენს მოთხოვნას და კონსტიტუციაში არ ასახავენ პუნქტს სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებისთვის მიყიდვის აკრძალვის შესახებ. იმიტომ გვინდა, ამაზე რეფერენდუმს ან პლემბისციტს მაინც მივადნოთ. ცესკოში რეფერენდუმის მოთხოვნით განაცხადი შეტანილია. გვაქვს სხვა შენიშვნებიც. ბევრი პარტიის პროტესტი ამ პროექტზე მისაღები და გასაგებია. გაუგებარია კონსტიტუციის თაობაზე ნაციონალური მოძრაობისა და მისი გამონაცემების ხმაური.

— რატომ?

— როცა ნაცმოძრაობა იყო მმართველი პარტია, ნაციონალებმა სააკაშვილის მეთაურობით გააუპატიურეს კონსტიტუცია. სააკაშვილმა კონსტიტუცია ყველას თავზე დაგვასხია. ახლა

ნაციონალები საზოგადოებას უკითხავენ ლექციებს იმაზე, როგორი უნდა იყოს კონსტიტუცია. ზოგიერთი პარტია ნაციონალებს ამ კამპანიისას გვერდით უდგას. ამ პარტიებს ნამუსის პრობლემა აქვთ, თორემ დამნაშავეებთან არ დადგებოდნენ.

— პარტიები ძირითადად არ ეთანხმებიან საარჩევნო ცვლილებებს.

— პოზიტიურია მაჟორიტარული სისტემის გაუქმება. არ ვეშრობით ბლოკების გაუქმებას და გადაუნაწილებელი მანდატების მხოლოდ გამარჯვებული პარტიისთვის მიკუთვნებას. მოვითხოვთ მანდატების სამართლიან განაწილებას. კონსტიტუციაში უნდა შევიდეს შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებაზე. კვირიაშვილი იქნება პრემიერ-მინისტრი თუ ჯიბლაძე, არავის აქვს უფლება, გაანიაგოს მიწები, რომლებიც ჩვენი წინაპრების სისხლით, ცრემლითა და ოფლით შევინარჩუნეთ.

მიწის ფონდის შექმნასაც მოვითხოვთ. ახლა შობადობა დაბალია, დემოგრაფიული მდგომარეობა კი — კატასტროფული. როცა უკეთესი მდგომარეობა გვექნება, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მიწის ფონდი, საიდანაც ნაკვეთებს გამოუყოფს ოჯახებს. თუ მიწებს არაბები, ჩინელები, ინდოელები თუ სხვები დაეპატრონენ, მერე გვიან იქნება. სააკაშვილმა ისედაც ბევრ უცხოელს დაუთმო მიწა.

— ზოგიერთმა პოლიტიკოსმა პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა. მათ იმედი აქვთ, რომ ვადადგელი საპრეზიდენტო არჩევნებით პრეზი-



დენტის ინსტიტუტი გადარჩება.

— მემარცხენე ალიანსისთვის პრეზიდენტის არჩევის პრობლემა მთავარი არ არის. პიროვნებას არ ვეხებით. საუბარია პრეზიდენტის ინსტიტუტისაზე. თუ პრეზიდენტს უფლებამოსილებები არ ექნება, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ იარჩევენ? გინდა ხალხმა აირჩიოს და გინდა ხმოსნებმა! თუ პრეზიდენტს სათანადო უფლებები ექნა, მაშინ, ჯობია, ხალხმა აირჩიოს.

არა მგონია, გიორგი მარგველაშვილი გადადგეს. დაეუშვას, გადადგა და კიდევ აირჩიოს.

გიგ ვერაფერს შეცვლის. ჯერ ერთი, დაახლოებით 4 წლის განმავლობაში ისევ ეს პარლამენტი იმუშავებს. მეორეც, პრეზიდენტი აქამდეც ძირითადად ვეტოს დადებით იყო დაკავებული, რასაც პარლამენტი ძლევდა. მერე რა უნდა შეიცვალოს? გიორგი მარგველაშვილს არჩევისთანავე მოეუწოდებოდა, გაემართა პირდაპირი დიალოგი რუსეთთან. მან ვერ გაბედა ის, რაც ქვეყანას სჭირდებოდა. ამის გამო მდგომარეობა უარესდება — მცოცავი აგრესია გრძელდება. ბევრი დავობს იმაზე, რომ ამ ცვლილებებით უქმდება უშიშროების საბჭო. ჩვენი აზრით, მისი გაუქმება სწორია. ერთმანეთის პარალელური სტრუქტურები არ უნდა არსებობდეს.

— შესწორებული კონსტიტუციის მიღებაზე დიდი დროა. დათმობს ხელისუფლება რამეს?

— არ ჩანს იმის ნიშნები, რომ ხელისუფლება დათმობას აპირებდეს. „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებებს თუ გავისინებთ, შეიძლება უარესი სურათი მივიღოთ.

— უარესია?

— „ოცნების“ წარმომადგენლები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ შეიძლება მაჟორიტარული სისტემა აღარ გააუქმონ და დატოვონ. მმართველ პარტიაში მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ამით სხვებს ერთგვარ გაფრთხილებას გვაძლევენ — თუ ჭკვიანად არ იქნებით, ამასაც არ შეეცვლით.

ლიდაც რომ დაგვემუქრონ, წინააღმდეგობას მაინც არ შევწყვეტთ. მანდატების სამართლიანად გადაწილებისთვის, ასევე ბლოკების აკრძალვისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გასხვისების წინააღმდეგ ბრძოლას აუცილებლად გავაგრძელებთ.



ნიკა რუჩა: „თავგასული „ოცნებისთვის“ თავისი ადგილის მისაქუთვნებლად აჰოირობაა საჭირო“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა რუჩა თვლის, რომ კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო. ენმ-ს წარმომადგენლის თქმით, საჭიროა, მმართველ გუნდს საკუთარი ადგილი მიუთითონ.

— ცვლილებები, რომლებსაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს, საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების შანსს სერიოზულად ამცირებს, შეიძლება ითქვას, რომ გამორიცხავს კიდევაც. თუ ამ წუთას აბსოლუტურად თავგასული ოცნება თავის ადგილას არ დაჯდა და არ მიეთითა, მას არ აქვს უფლება, ხალხს წამოართვას პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, ასევე ის, რომ ხმას ვისაც აძლევ, წაიღოს იმან და არა ხალხს წამოართვას პრეზიდენტის პირდაპირი არჩევა, ხმას ვისაც აძლევს, ის ხმა წაიღოს გამარჯვებულმა და ა.შ. ეს ყველაფერი რომ არ დაეუშვას, უნდა ვიაქტიუროთ, — განაცხადა პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ნიკა რუჩამ.

გიორგი კვირიკაშვილი: „პარტიის ფორმაში მაროვის კანდიდატის საკითხი ჯერ არ არის განხილული“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მმართველი გუნდის მომავალი მერობის კანდიდატზე დასმული კითხვის საპასუხოდ აცხადებს, რომ ამ თემაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, პარტიის ფორმატში მერობის კანდიდატზე მსჯელობა არ ყოფილა.

— ნაადრევია დღეს მერობის კანდიდატზე შეკითხვები. მე მგონი, უხერხული იქნება. პარტიის ფორმატში ეს საკითხები ჯერ არ არის განხილული. როდესაც იქნება დრო, ეს ინფორმაცია გახდება ცნობილი, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ნოუბოსტი



ახალი
თაობა

გაზეთი
გამოდის
1993 წლის
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შიორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გაფრცხვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბდონება — ინგა დვალისიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციამ შემოხული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის არსებობა უსაფრთხოების გაზრდას“



ნათია ხურცილავა

საერთაშორისო საკითხების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამერიკელი კონგრესმენების მხარდამჭერ წერილზე საუბრობს.

– ამერიკის 30 კონგრესმენმა, როგორც დემოკრატმა, ისე რესპუბლიკელმა, პრეზიდენტ ტრამპს საქართველოსადმი მხარდაჭერისკენ მოუწოდეს. საგარეო უწყების ხელმძღვანელი ჯანელიძე ორპარტიულ მხარდაჭერაზე აკეთებს აქცენტს. რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის ამ წერილს?

– გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენების ეს წერილი და იქ გამოთქმული მხარდაჭერა მართლაც მნიშვნელოვანია. ეს არ არის ისე, უბრალოდ ნათქვამი სიტყვები. ეს წერილი მართლაც არის დადასტურება საქართველოს მხარდაჭერის. ბოლო 15 წელია, რაც საქართველოს აქვს ამერიკის მხრიდან მხარდაჭერა და ეს გრძელდება.

– ეს არის ერთგვარი გზავნილი?

– რა თქმა უნდა. ამერიკამ სწორედ ხაზგასმამ მოახდინა კიდევ ერთხელ, რომ ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა გრძელდება, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში. ამითაც არის ჩვენთვის საინტერესო, საყურადღებო და კარგი, პირველ რიგში, ეს წერილი. კარგი სიახლე ის არის, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის მხრიდან არ გადახედოდა ადმინისტრაციის ცვლილების მიუხედავად.

– რუსეთთან არსებული ურთიერთობის გათვალისწინებით, ამ გზავნილს აქვს გარკვეული მნიშვნელობა, თუ რუსეთისთვის ყველაფერი სულერთია?

– არა, რა თქმა უნდა, სულერთი არ არის. რუსეთი კი ბაქო-ბუქრეს, რომ სანქციების არ ეშინია, რომ სანქციების შედეგად არ ზარალდება, ასევე არ ზარალდება იზოლაციით, რომ თითქოს ის არის ძლევამოსილი, მაგრამ მთლად ასეც არ არის.

– სანქციების ეშინია?

– რასაკვირველია, ეშინია. რეალურად იზოლაციით, სანქციებით ზარალდება, შეუძლებელია, რომ არ ზარალდებოდეს. ეს ძალიან კარგად იცინა, ამიტომ არის, რომ რუსი დიპლომატები ჩუმად მუშაობენ, რომ როგორმე სანქციები მო-

ეხსნათ. თუმცა, ფაქტია, რომ ჯერ-ჯერობით ვერ იხსნიან. მსგავსი განცხადებები, რომლებიც ამერიკელ კონგრესმენებს ეკუთვნის, არის გაფრთხილება რუსეთის – თუ საქართველოს შეხებში, კიდევ უფრო მეტი სანქციები დაგეგმულებათ.

– კონგრესმენების ეს წერილი რამდენად არის ახალი ელჩის, დავით ბაქრაძის, მუშაობის შედეგი, თუ ამერიკის მხარდაჭერა მაინც ინერციით მოდის?

– ორივე არის, მაგრამ არ მინდა, ელჩ დავით ბაქრაძეს შრომა დაუკარგოს. მისი შრომის შედეგიც არის.

– ამ წერილში მთავარი ყურადღება გამახვილებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე. ოპოზიციაც, კონკრეტულად, სერგი კაპანაძე აცხადებს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რა მნიშვნელობა აქვს ამას რიგითი მოქალაქეებისთვის, არის ეს ახალი ეკონომიკური შესაძლებლობა ჩვენი მოქალაქეებისთვის?

– სამწუხაროდ, ისე არ ვართ განვითარებული, რომ მაშინვე გამოვიყენოთ თავისუფალი ვაჭრობა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს მისი ამოშავება, ამოქმედება. ჩვენ გვაქვს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ ჯერჯერობით ამას დიდი შედეგები არ მოუტანია ჩვენი მოქალაქეებისთვის.

– რატომ?

– ბევრ მოქალაქეს უბრალოდ ინფორმაცია არ აქვს, თუ რა შესაძლებლობა ეძლევა მას, რა სარგებელი, რა სიკეთე შეუძლია აქედან მიიღოს. წარმოიდგინეთ, ორივე მიმართულებით, ევროპასთანაც და ამერიკასთანაც, რომ გვექონდეს თავისუფალი ვაჭრობა, ეს რას ნიშნავს, ყველაზე ცოტა, ორივე ბაზარზე ქართული პროდუქცია ავტომატურად შევა, ქართული ბრენდი მოხდება უცხოურ ბაზარზე, ასევე შესაძლებლობა ეძლევა თუნდაც უცხოელ ინვესტორს, რომ საქართველოში ჩამოვიდეს, აქ ააწყოს ბიზნესი, ეს ადვილზე დასაქმებას გამოიწვევს და აქედან შეიტანოს ორივე ბაზარზე ქართული პროდუქცია, რაც ასევე იქნება ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია, გაცნობა ევროპული და ამერიკული ბაზრისთვის. მერწმუნეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– რაც ასევე გამოიწვევს ქართული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

– დიას, თავისთავად, ხარისხის გაუმჯობესების გარეშე, უბრალოდ, საუბარი ზედმეტია. ეს



„ამერიკა სტრატეგიულ პარტნიორობას აგრძელებს“

ყველაფერი ნიშნავს ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებთან შესაბამისობას. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, დრო სჭირდება, რომ ქართველმა მენარმემ გააცნობიეროს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ხარისხს, სტანდარტის დაცვას. სამწუხაროდ, შეფუთვას, სანიტარულ ნორმებს, ისე ვერ ვიცავთ, ამიტომ არის, რომ ჯერჯერობით თუ რამე გადის ექსპორტზე, დიდი ნაწილი უცხოური ინვესტიციების შედეგია. მაგალითად, იტალიელი ინვესტორები ჩამოდიან, რომლებიც აწარმოებენ თხილს და შემდეგ გააქვთ.

– კონგრესმენები პრეზიდენტ ტრამპს პირდაპირ მოუწოდებენ, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე საქართველოს დახმარება აღმოუჩინოს. ნატოში განვლიანება წევრი სახელმწიფოების კონსენსუსის შედეგად ხდება, მაგრამ ამერიკის ხმას რამდენად აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა?

– ამერიკის შეერთებულ შტატებს ყველაზე ხმა მაღალი ხმა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. იმ ეტაპზე, რომელზეც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, მნიშვნელოვანია ნატოს საწვრთნელი ბაზის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე. მსგავსი პროექტების განხორციელებით, ჩვენ უსაფრთხოების გარანტიებს ვიქმნით.

– საგარეო საქმეთა სამინისტრო უფრო გააქტიურდება სტრატეგიულ პარტნიორობთან ურთიერთობაში?

კახა ოქრიაშვილი: „რომან გოსირიძე მაჟორიტარები შეაღარა მაშლახს“

– რომან გოსირიძემ მაჟორიტარები შეაღარა მაშლახს, პარლამენტი ალბათ საქათმეს და არამაჟორიტარი დეპუტატები კვერცხის მდებელ ქათმებს, რომლებიც კვერცხივით ისვრიან კანონპროექტებს, – ასე ეხმაურება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი რომან გოსირიძის განცხადებას. როგორც ოქრიაშვილმა დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, გოსირიძემ მაჟორიტარები მამლებს კვირას, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში შეაღარა.

– მინდა ვუპასუხო ბატონ რომან გოსირიძეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ბატონმა რომანმა მაჟორიტარები შეაღარა მაშლახს, პარლამენტი ალბათ საქათმეს და არამაჟორიტარი დეპუტატები კვერცხის მდებელ ქათმებს, რომლებიც კვერცხივით ისვრიან კანონპროექტებს. ბატონო რომან, ჩვენი მაჟორიტარული აპოლიტიკურობით თქვენს ფანტაზიებს, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

მისივე თქმით, მაჟორიტარებზე ხორციელდება უსამართლო ზენოია და კონკრეტული მიზანმიმართული კამპანია.

– მინდა გამოვხატო კვირას, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ სიუჟეტს. ამ კამპანიის ფარგლებში ხდება ჩემი და ჩემი კოლეგების დისკრედიტაცია და შეურაცხყოფა. სხირად ისმის ბრალდებები, რომ მაჟორიტარები არიან უფრო პასიურები, ნაკლებად ცნობადები, არაკვალიფიციურები, ვიდრე პროპორციული წესით არჩეული დეპუტატები და ამიტომ, უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა. საქართველოში, როგორც მთელი მსოფლიოს პარლამენტებში, არიან ძალიან აქტიური და კვალიფიციური როგორც მაჟორიტარი, ისე არამაჟორიტარი დეპუტატები. ასევე არიან ნაკლებად აქტიურები და პარლამენტში ხვდებიან არასაპარლამენტო კვალიფიციურობის მქონე ადამიანები. ასეთი დეპუტატები იყვნენ და არიან ჩვენ პარლამენტში და ამის გამო უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული არჩევნები, თუ იმაზე ვიფიქროთ, როგორ ამაღლდეს საპარლამენტო კვალიფიციაცია? საქართველოში მრავალი ჟურნალისტი, ბევრი ძალიან კარგია და მიუკერძოებელი, რომლებსაც დიდ პატივს ვცემთ. ასევე არიან არაკეთილსინდისიერი და აშკარად დაკვეთების შემსრულებელი



– საგარეო პოლიტიკა ძალიან სპირად შიდა პოლიტიკის მსხვერპლია. საშინაო პოლიტიკაში ჩადენილი ბევრი სისულელე სპირად ხელს უშლის საგარეო პოლიტიკას. მაგალითად, სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანაცვლება ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო ასპარეზზე. როდესაც დასავლეთს დახმარებას სთხოვ, მაგრამ შენ არ იქცევი, როგორც დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, ეს დახმარებაც ვერ იქნება ადეკვატური. მსგავსი რაღაცები უფრო არის პრობლემა, ვიდრე ის, რომ საგარეო უწყება არ აქტიურობს.

– საგარეო და საშინაო პოლიტიკა გადაჯაჭვულია და ცალ-ცალკე ვერ განვიხილავთ?

– დიას, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაა.

ირაკლი კობახიძე ოპოზიციას – საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით თქვენ იწყუებით


– საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით თქვენ იტყუებით, არ შეიძლება ამ გზით პოლიტიკაში სიარული, – აღნიშნული განცხადებით საპარლამენტო უმცირესობის წევრებს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ირაკლი კობახიძემ მიმართა. – თქვენ ამ გზით დაიწყეთ პოლიტიკაში სიარული და ნუ გააგრძელებთ ამ გზით სიარულს, რადგან ეს არ ივარგებს პოლიტიკური სისტემისათვის. თქვენ პოზიტიური წვლილი უნდა შეიტანოთ პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის. ამ გზით ვერ შეიტანთ, – მიმართა



ოპოზიციონერ დეპუტატებს პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ოპოზიციის ტრადიციული განცხადებები კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებებით შეთავაზებული საარჩევნო სისტემის კრიტიკით დაიწყო. ოპოზიციის შეფასებით, კონსტიტუციის პროექტით წარდგენილი სისტემა მუსოლინის სისტემის მსგავსია.

პაატა იმნაძე მოსახლეობას ტკიპებისგან თავდასხვას ურჩევს

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამედიცინო ხელმძღვანელი პაატა იმნაძე მოსახლეობას ტკიპებისგან თავდაცვას ურჩევს. როგორც პაატა იმნაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გრიპისა და გრიპისმაგვარი დაავადებების სეზონი პრაქტიკულად მთავრდება და გადამტანებით გადაცემადი დაავადებების სეზონი იწყება. მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ პერიოდში აქტიურია ტკიპები.



– იყო ტულარემიის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც შესაძლოა მღრღნელებით, დაბინძურებული საკვებით ან წყლით გადავიდეს. სამი შემთხვევა დაფიქსირდა დასავლეთ საქართველოში. ყირიმ-კონგოს ერთი შემთხვევა გვექონდა, ამიტომ, მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო ტკი-

პებთან მოპყრობისას, ბუნებაში გასვლისას, ძროხების დამუშავებისას. ფერმერები საკონტაქტო სხივად ტკიპებს ხელით აცლიან. რჩევაა, რომ დაუცველი ხელით ნუ მოაშორებენ ტკიპებს, არის საშუალებები, რომლებიც ეფექტურად იცავენ შინაურ პირუტყვს ტკიპებისგან. არ არის ძვირი საშუალებები, – აღნიშნა პაატა იმნაძემ.

რაც შეეხება კოლოებს, იმნაძის ინფორმაციით, დაავადების გადამტანის კოლოები ჯერ არ არიან აქტიურები და ცოტა ხანში გამოფრინდებიან. მისი ინფორმაციით, სახელმწიფო მესამე წელია ახორციელებს კოლოების წინააღმდეგ შავი ზღვისპირეთის ფართომასშტაბიან დამუშავებას. იმნაძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ კოლოს გამრავლების პირობები არ შევუქმნათ.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

საქართველოში მიწისძვრა მოხდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, ქვეყანაში ერთი წუთის ინტერვალით ორი მიწისძვრა ბიძგი დაფიქსირდა.

მიწისძვრა ბიძგების სიმძლავრე 4,7 მაგნი-

ტუდას შეადგენდა.

პირველი მიწისძვრა ბიძგის ეპიცენტრი დაღესტნის საზღვართან დაფიქსირდა. მეორის შემთხვევაში კი ეპიცენტრი ლაგოდეხის ჩრდილო-დასავლეთით, 18 კილომეტრში, სოფელ ზემო ხეჩილთან იყო.



„ქართული ოცნება“ ოპოზიციასთან ფარულ მოლაპარაკებას ანარქოებს



საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე ხელმოწერა დეპუტატთა რაოდენობამ აჩვენა, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში მყარი პოზიცია არ არსებობს, პროექტს ხელს 108 დეპუტატი აწერს, ცვლილებების მიღებას კი 113 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება.

იურისტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას ახალი კონსტიტუციის მისაღებად მხარდამჭერების ძებნა საპარლამენტო უმრავლესობაში მოუწევს.

როგორც ალაფიშვილმა „პირველ რადიოს“ განუცხადა, ეს პროცესი დაწყებულია და საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ოპონენტებთან.

— საპარლამენტო უმცირესობა არცთუ მრავალრიცხოვანია, არც დეპუტატების მანდატების მხრივ, არც კიდევ სუბიექტების მხრივ. ამ შემთხვევაში, ჩემი წყაროს ცნობით, დაიწყო პროცესი და რა იქნება შემდგომ, ვერ გეტყვით.

როგორც ჩანს, ეს არის კონსტიტუციის მხარდაჭერისთვის შესაძლო მოკავშირეების ძებნა და შესაძლო პოლიტიკური მორიგება. ეს პროცესის დასაწყისია. ფაქტია, რომ უმრავლესობა მყარი არ

არის კონსტიტუციასთან მიმართებაში და სწორედ ამიტომ გაიხსნა მოლაპარაკების კარი. მოკავშირეების ძებნა მხოლოდ უმცირესობაში შეიძლება იყოს, იმიტომ, რომ დეპუტატები აძლევენ ხმას საკონსტიტუციო ცვლილებებს, ამიტომ მოლაპარაკების სავარაუდო ადრესატთა რაოდენობა არც ისე მრავალფეროვანი ჰყავთ. იყო აღიარება, რომ უმრავლესობაში არის არაერთგვაროვნება და საკონსტიტუციო ცვლილებებთან მიმართებაში უმრავლესობა არ იყო მყარი, — აცხადებს ალაფიშვილი „პირველ რადიოსთან“.

ალაფიშვილი არ აკონკრეტებს, ვისთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ამბობს, რომ სავარაუდოდ მოლაპარაკებებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ინდივიდუალურად აწარმოებენ.

— ეს რომ იყოს ფრაქციების დონეზე უკვე წინ წასული პროცესი, ამაზე ვიტყვით, როგორც ჩანს, ჩემი ინფორმაციით, ფრაქციების დონეზე არც აპირებს მოლაპარაკებებს, რადგან უმრავლესობას მაქსიმუმ სჭირდება 5 ხმა, რაც საჯაროდ გაცხადებულია, რომ რეალურად ავიდეს 113 დეპუტატამდე. ამ ეტაპზე, რაც მე ინფორმაცია მაქვს, შესაძლოა იყოს

ღია შეთავაზება როგორც ინდივიდუალურ რეჟიმში განხილვადი, ასევე პოლიტიკურ სუბიექტთან ფრაქციისადმი გაკეთებული შეთავაზება, მაგრამ ამის თქმის საფუძველი არ მაქვს, — აცხადებს ალაფიშვილი.

ალაფიშვილი ფიქრობს, რომ რადგან ეს პროცესი მხოლოდ პირველი ეტაპია და ჯერ არც მორიგება შემდგარა და, მით უმეტეს, არც ოპოზიციონერ დეპუტატებს მიუღიათ გადაწყვეტილება დაუჭირონ მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, მეტმა კონკრეტულმა შეიძლება უარყოფითი გავლენაც კი მოახდინოს ამ პროცესზე, ამიტომ ის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

თუმცა ამბობს, რომ როცა საქმე საკონსტიტუციო ცვლილებების ფარულ კენჭისყრაზე მიდგება, შესაძლოა, აღარც დასჭირდება უმრავლესობას ოპოზიციის მხარდაჭერა ან პირიქით, უფრო მეტი ხმა დააკლდეს.

— შესაძლოა მეტი დეპუტატის მხარდაჭერაც დასჭირდეს. იმ პროექტზე 108 დეპუტატის ხელმოწერა არ ნიშნავს, რომ 108 მისცემს კენჭისყრისას ხმას, — ამბობს ალაფიშვილი „პირველ რადიოსთან“.

პირველი რადიო

რუსული ბორღარიზაციის შედეგები ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში

ზუგდიდის სოფელ ხურჩაში მცხოვრები არველოდ ნაჭყებია და ომარ მიქაუტაძე ერთი კვირაა, რაც საკუთარ ყანაში ვერ შედის. ოკუპირებული ველის რაიონის სოფელ ნაბაკეის მოსახლურედ მცხოვრებთა ორ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი რუსმა სამხედროებმა მითვისეს. მათ ნაჭყებია და მიქაუტაძის მიმდინარე ყანებს ხის ბოძები შემოავლეს და უთხრეს, რომ აქ შემოსვლა ეკრძალებათ, რადგან ტერიტორია ოკუპირებულ რეგიონს ეკუთვნის.

ომარ მიქაუტაძემ გასულ კვირაში მეზობლებისგან შეიტყო, რომ სახლიდან მოშორებით მდებარე მის კუთვნილ 1 ჰექტარ სიმიდის ყანაში რუსი სამხედროები მუშაობდნენ.

— დაეუძახე და მოვიდა ერთი, მაგას გავესაუბრე. მითხრა, რომ თქვენი არ არისო ეს მიწა, აფხაზეთის არისო. მე ვუმტკიცებდი, არ არის აფხაზეთის, ეს მიწა საქართველოსა და ბოძებს რატომ აკეთებთ მისული? — ამბობს ომარ მიქაუტაძე. მას უკვე წართმეულ ყანაში 5 ტონამდე სიმიდი მოჰყავდა. მოხუცმა ვერც გასულ კვირაში თავისი ხელით გამზადებული სამუშაოს მასალის გადმოტანა მოახსნო.

საკუთარ სიმიდის ყანაში შესვლა აკრძალული აქვს 90 წლის არველოდ ნაჭყებიასაც. ის მინის



ნაკვეთს 25 წლის განმავლობაში ამუშავებდა, სადაც ხშირად ტონამდე მარცვლები მოჰყავდა. როგორც ხუთსოფლიანი ოჯახის უფროსი განმარტავს, ოკუპირებული ტერიტორიისთვის მიკუთვნილი მიწის ნაკვეთი ოჯახის რჩენის ერთადერთი წყარო იყო:

— ახლა სამხედროებისაა ეს, უფლება არ მაქვს მე იქ შევიდე. რა ვუყო ახლა მე საქონელს, არ ვიცი. ჩალა ხომ უნდა, სიმიდი ხომ გვინდა?! არსად ერთი მეტრო ნაკვეთი არ მაქვს მე.

როგორც რუსპონდენტები ჰყვებიან, რუსმა სამხედროებმა ბოძების განთავსებაზე სამი დღის განმავლობაში აქტიურად იმუშავეს, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ევროკავშირის მისიის დამკვირვებლებთან ერთად დაათვალიერეს, არ გამოჩნდნენ.

სოფელ ხურჩაში ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელ ბადრი ხუნჯაგურას თქმით, მომხდარის შესახებ მას თანასოფლელებმა შეატყობინეს, რაც შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლებას აუწყა: „ეს ტერიტორია არის მითვისებული. ჩვენ მოსახლეობამ გაგვაცხადინა. საქმის კურსში იქნა ჩაყენებული სამხარეო, რაიონის ხელმძღვანელობა და ყველა სტრუქტურა, ვისაც ეხებოდა. იყო რეაგირება, დაათვალიერეს და კიდევ რა რეაგირებას გააკეთებენ, ეს

უკვე მათზე დამოკიდებული“.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ოკუპირებული ნაბაკეის მოსახლურე ზუგდიდის სოფელ ხურჩაში საოკუპაციო ხაზის გადმონევა არ მომხდარა. სუს-ის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ბოძები ჩასმულია საოკუპაციო ზოლზე და ეს არის ბორღარიზაციის პროცესის გაგრძელება. მათივე განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ამ ფაქტზე მოახდენს რეაგირებას, ისევე, როგორც ყველა შესაბამისი უწყება ყველა დონეზე.

განცხადებას, რომ ბოძები ჩასმულია საოკუპაციო ზოლზე, თავად დაზარალებულები არ ეთანხმებიან. არველოდ ნაჭყებიას თქმით, ის 25 წელია აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ამუშავებდა. ომარ მიქაუტაძემ კი აღნიშნა, რომ ერთ ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი ადგილობრივი მცხოვრებისგან ხუთი წლის წინ შეიძინა და ყანაში მუშაობისას ადრე ე.წ. მესაზღვრეებთან პრობლემა არ შექმნილა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება „მცოცავი ოკუპაციის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაზე გააკვირვებს ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხურჩაში.

— ამ ფონზე ძალიან სამწუხაროა, საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ საოკუპაციო ხაზი სოფელ ხურჩაში არ გადმონეულა და რომ ამ მხრივ აქ საგანგებო მდგომარეობა არ არის, — განაცხადა ანა ნითლიძემ.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მოუწოდებენ ხელისუფლებას და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე იყოს დაცული. თავის მხრივ, სუს-ში განმარტავენ, რომ ინფორმაცია უკვე მონიშნულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისთვის, რომელთა დამკვირვებლები ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ. მათივე ცნობით, ცენტრალური ხელისუფლება ინფორმაციას მიწოდებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ.

გიორგი კვირიკაშვილი: „მაქსიმალურად გავუფრთხილდით ადამიანებს, სადაც შესაძლებელი იყო, დავეთვით თანამშრომლები. სამინისტროებში განხორციელებულ რეორგანიზაციებზე გამოთქმული პრეტენზიები და შეფასებები, ვფიქრობ არაობიექტურია, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერმა ჟურნალისტების დასმულ შეკითხვაზე საპასუხოდ განაცხადა, რომელიც საიას კვლევის ეხებოდა. კვლევის თანახმად, ხუთ სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად 2 300 თანამშრომელი გათავისუფლდა.“

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად „გავუფრთხილდა ადამიანს“ და ოპტიმიზაცია მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა.

— არ ვეთანხმები მე ამ შეფასებას. ჩვენ მაქსიმალურად გავუფრთხილდით ადამიანებს, სადაც შესაძლებელი იყო, დავეთვით თანამშრომლები, სადაც საჭირო იყო, რომ ოპტიმიზაცია გაკეთებულიყო გამომდინარე საბიუჯეტო პარამეტრებიდან და გამოდინარე ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებიდან, იმ ნაწილში მივიღეთ გადაწყვეტილება. ამ ფორმატში ძალიან ძნელია ანალიზის გაკეთება. ძირითადად, რაც შემიძლია გითხრა, ესაა, რომ ვფიქრობ, ეს არის არაობიექტური შეფასება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.


ინტერპრესიუსი

ხუთ სამინისტროში 2.300 თანამშრომელი გაათავისუფლეს

ხუთ სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად 2.300 თანამშრომელი გათავისუფლდა, მათგან ყველაზე მეტი 2.250 — თავდაცვის სამინისტროდან, 20 საჯარო მოხელე — ლტოლვილთა სამინისტროდან, 17 — ინფრასტრუქტურის, 11 — კულტურის სამინისტროდან, ხოლო ყველაზე ცოტა — 2 თანამშრომელი გათავისუფლდა საგარეო უწყებებში რეორგანიზაციის პროცესი. შემცირებლასა და შტატების ოპტიმიზაციის შესახებ.

როგორც საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, რეორგანიზაცია არ წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას, თუმცა ის უნდა იყოს განჭვრეტადი, გამჭვირვალე პროცესი დაფუძნებული გასაგებ კრიტერიუმზე.

— სამწუხაროდ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ საჯარო უწყებებში რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობდა მთელი რიგი ხარვეზებით. 12-მა სამინისტრომ ითანამშრომლა ჩვენთან და მოგ-



ვანოდა ინფორმაცია. მათგან აღნიშნული ხუთი სამინისტროდან გათავისუფლდნენ თანამშრომლები და ამ პროცესში იკვეთება მთელი რიგი პრობლემები. პროცესი არ იყო გამჭვირვალე თავად საჯარო მოხელეებისთვის და მათში ეს პროცესი იწვევდა გაურკვევლობას, შიშს, ასევე ცუდად მოქმედებდა მათ მოტივაციაზე. შიშს იწვევდა იქიდან გამომდინარე, რომ არ იყო ნათლად გაწერილი კრიტერიუმები, თუ რის საფუძველზე თავისუფლდებოდნენ ადამიანები სამსახურიდან, — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

მისი თქმით, საიას იცავს 3 საჯარო მოხელის უფლებებს, რომლებიც სამართლებრივ დავას აწარმოებენ და ფიქრობენ, რომ მათი გათავისუფლების მიზეზები საკმარისად დასაბუთებული არ ყოფილა.

საიას განცხადებით, რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მათ ინფორმაცია არ მიანოდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ.

— 12 სამინისტროს მიერ მონიშნული ინფორმაციის თანახმად, საბიუჯეტო ხარჯების მთლიანი ოდენობა შეადგენს 55 მლნ 344 ათას ლარს. სამინისტროებმა ყველაზე მეტი თანხა, სულ 39 მლნ ლარი — შეამცირეს შრომის ანაზღაურების ნაწილში, რაც ძირითადად გამოიხატა პრემიებისა და დანაშაუტების ფონდის მნიშვნელოვნად შემცირებას ან/და მთლიანად გაუქმებაში. რეორგანიზაცია, რომელმაც გამოიწვია შტატების შემცირება, განხორციელდა 5 სამინისტროში, კერძოდ: თავდაცვის; ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტრო, რის საფუძველზეც სულ გათავისუფ-

ლდა 2.300 საჯარო მოხელე. გათავისუფლებულ საჯარო მოხელეებისათვის კომპენსაციის სახით გადახდილი თანხის ჯამური ოდენობა არის 5 მილიონ 322 ათას 300 ლარი.

5 თვითმმართველი ქალაქის — ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ფოთის მიერ მონიშნული ინფორმაციით, თვითმმართველმა ქალაქებმა საბიუჯეტო ხარჯები შეამცირეს სულ 3 მლნ 630 ათასი ლარით, ხოლო აიპების დაფინანსება 1 მლნ 220 ათასი ლარით. გარდა ამისა, აიპებში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად სულ სამსახურიდან გათავისუფლდა 137 თანამშრომელი.

საბიუჯეტო სახსრების შემცირებისა და რეორგანიზაციის პროცესის ანალიზისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემური საკითხები:

1. მთავრობის სხდომაზე არ ყოფილა განხილული სამინისტროებში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესი და შედეგები, ასევე საქართველოს პარლამენტს არ განუხორციელებია ეფექტიური კონტროლი სამინისტროებში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესზე;

2. სამინისტროებსა და თვითმმართველ ქალაქებს ჰქონდათ არაერ-

თგვაროვანი და განსხვავებული მიდგომები საბიუჯეტო სახსრების შემცირების პრიორიტეტებისა და ოდენობის თაობაზე, რაც განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის ერთიანი ხედვის არარსებობით;

3. მინისტრების მიერ რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული ბრძანებები სტანდარტული და ფორმალური ხასიათისაა, სადაც განერილია მხოლოდ რეორგანიზაციის პროცესის დაწყების თაობაზე საჯარო მოხელეთა გაფრთხილების მოთხოვნა.

4. საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ ნათლად გაწერილი კრიტერიუმები რეორგანიზაციის პროცესში გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა შესარჩევად.

5. დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს, თვითმმართველობის ორგანოების მიერ აიპების რეორგანიზაცია და მათი დაფინანსების შემცირება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული განხორციელდა ნაწილად და მოკლე ვადებში, არსებობს კითხვები, თვითმმართველი ქალაქების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჭიროებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, — აღნიშნულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევაში.

ზაზა ხაბიაშვილი: „ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმის საყრდენები დაგვასვა თავზე“



ნონა ცაბაძე

უნდა იყოს თუ არა დასჯადი მოსამართლის შეურაცხყოფა და ზღვარს გადასული კრიტიკა? „ახალმა თაობამ“ ამ კითხვით ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტ ზაზა ხაბიაშვილს და უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილს მიმართა.

– ბატონო ზაზა, დასჯადი უნდა იყოს მოსამართლის შეურაცხყოფა?

– ეს არის იუსტიციის საბჭოს მორიგი უკანონოება. მორიგი უზნეობა, რაც მათ სურთ, რომ დააკანონონ. გამოსატყვის თავისუფლება არის ალიარებული კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეათე მუხლით.

– ანუ კანონის წინააღმდეგ მიდინა?

– ასეა. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ფეოდალური ხელისუფლება, სანამ ოპოზიციაში იყო, გვპირდებოდა ყველა იმ მოსამართლის გასამართლებას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის საყრდენი იყო. ჩინალაძე, მურუსიძე და ცერცვაძე იყო ყველაზე მიუღებელი ე.წ. „ტროიკა“, რომლის წინააღმდეგაც სამოქალაქო საზოგადოება ქუჩაში გამოვიდა და თქვა, რომ აღარ გვინდა სააკაშვილის ხელისუფლება.

ყველაზე დიდი სიბინძურე, რაც გააკეთა დღევანდელმა ხელისუფლებამ, არის ის, რომ ეს ადამიანები დაგვასვა თავზე! ამათ მისცა უფრო მეტი ხელშეუხებლობის გარანტია, ვიდრე ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს.

– დღეს მურუსიძე სასამართლოს სახეა. რას ნიშნავს ეს?

– როდესაც მურუსიძე სასამართლოს სახეა, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში სასამართლო სისტემა არ არსებობს! დღეს სასამართლო არის ყველაზე დისკრედიტებული ორგანო მთელ ქვეყანაში! ეს არის ჩვენი, სამოქალაქო საზოგადოების სირცხვილი, რომ ლევან მურუსიძე ხელმეორედ დაინიშნა და მას მისცა ხმა ბიძინა ივანიშვილის პარლამენტის მიერ იუსტიციის საბჭოში არჩეულმა სამმა სამარცხვინო წევრმა: ევა გოცი-რიძემ, სოფრომაძემ და თორდიაშვილმა!

მე არ მახსენდება, რომ ეს ადამიანები ჩვენთან ერთად მდგარიყვნენ ქუჩაში და ებრძოლათ. ეს ადამიანები ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობით მოხვდნენ სამოქალაქო საბჭოში და სამოქალაქო საზოგადოების სანიაღვრედ გავსდნენ ყველაზე მეტი მიზეზით. ამ სამმა ადამიანმა განცხადებაც გააკეთა, ჩვენ ვიცოდით ლევან მურუსიძის არასახარბიელო რეპუტაციის შესახებ, მაგრამ მაინც ხმა მივეცით იმიტომ, რომ მოსამართლეებში ჰქონდა მაღალი ავტორიტეტი. მათ აღიარეს, რომ კანონდარღვევა ჩაიდინეს.

– სწორედ ევა გოცირიძე ამ ინიციატივის ავტორი, რომელიც აცხადებს, რომ იცავს გამოხატვის თავისუფლებას დისკრედიტაციისაგან.

– ევა გოცირიძე სრულიად გამოსულია სამართლებრივი სივრციდან. განსაკუთრებით მას



შემდეგ, რაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მისი კანდიდატურა ჩავარდა. ევა გოცირიძის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე მე ვერწმუნდები, რამდენად შარს ავაცილე საქართველო, როდესაც ვიბრძოდი, რომ ეს ადამიანი ევროპის სასამართლოში არ მოხვედრილიყო.

– იუსტიციის მინისტრმა ბრალიც დაედოთ, ხაბიაშვილმა ჩაგვიგდო კანდიდატურა.

– თუა წულუკიანმა ლამის ეშაფოტზე გადავსა, ზაზა ხაბიაშვილმა ჩამიგდო ასეთი უდიდესი კანდიდატურა. ეს ხელისუფლება არის კოლექტიური გოცირიძეები და მურუსიძეები! ის ხალხი, ვინც ადამიანებს აწამებდა, დაანინაურეს! სააკაშვილის რეჟიმის საყრდენები გადარჩნენ და თავზე დაგვასვეს!

– რა იყო ივანიშვილის მიზანი? რატომ დაინიშნა ლევან მურუსიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად?

– ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე, მურუსიძის წინააღმდეგ მოვიგე სტრასბურის სასამართლოში სარჩელო მიტიაშვილის საქმეზე. მე ვამბობდი, რომ ლევან მურუსიძეს ჩადენილი აქვს უკანონობა, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადანაცვლებით დასტურდება და ეს ადამიანი უნდა დაეჯდეს საბრალდებო საქმეზე!

გამოვიდა ბიძინა ივანიშვილი და ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა ამ საქმეზე ეფექტური გამოძიება, ეს რა კაცი გავიცანიო, მურუსიძეზე თქვა. სწორედ მაშინ მოხდა შეთანხმება ივანიშვილსა და მურუსიძეს შორის. სწორედ მურუსიძის მეშვეობით უნდა დაემორჩილებინა სასამართლო სისტემა.

– დღეს მურუსიძის უვადო დანიშვნაზე მიდის საუბარი. ამაზე რას იტყვით?

„ევა გოცირიძე სამართლებრივი სივრციდან გამოსულია“



– მარტო ლევან მურუსიძის კი არა, იქ ათეულობით მურუსიძეა. თუნდაც იგივე ჩინალაძე, სააკაშვილის მთავარი შემოქმედი, ადგილობრივი მთავარი საყრდენი სასამართლოში, რომელიც ყველა უბედურების თანამონაწილე იყო! შეიტანა განცხადება და უვადოდ უნდა განამწესონ. ეს რატომ ხდება, იცით?!

– რატომ?

– იმიტომ, რომ არჩევნების დროს ლევან მურუსიძე დანიშნეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში. ადმინისტრაციული პალატა არის ბოლო ინსტანცია, სადაც საარჩევნო ხმები ითვლება. სწორედ მურუსიძემ არ დაუშვა ოპოზიციის მოთხოვნით უბნების ხელახალი გადათვლა.

ადამიანმა რაც უნდა დანაშაული ჩაიდინოს, თუ ბიძინა ივანიშვილი კარგი თვალთშეხდავს, შეუძლია ნებისმიერ თანამდებობაზე დაინიშნოს. ბიძინა ივანიშვილი მწარედ დაისჯება იმის გამო, რაც მან გააკეთა. მთელი საზოგადოება მწარედ მოატყუა!

– თქვენ განაცხადით, რომ მოსამართლეებზე სერიოზულ ზეწოლას აქვს ადგილი ნინო გვენეტაძის მხრიდან. გავთვამის მტკიცებულებები?

– მამუკა ახვლედიანია ამის ცოცხალი მტკიცებულება. მან პირადად მითხრა, რომ მასზე ზეწოლას ჰქონდა ადგილი გვენეტაძის მხრიდან. მართალია, არ იყო ჩემი მხრიდან სწორი, რომ პირდაპირ ეთერში დავადექი პირზე, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. არ შეიძლება ჩემთან შესვედრისას ერთს ამბობდე და სხვანაირად – მეორეს. მან პირადად მე მითხრა, რომ გვენეტაძემ დაიბარა და თითქმის დაუწინა.

ასევე მოსამართლეები ადიოდნენ ახვლედიანთან და უთანხმდნენ, რა გადანაცვლებები მიეღოთ და რა სარჩელები გამოეყენებინათ. ყვე-

ლამ უნდა ამოიღოს ხმა. მარტო ზაზა ხაბიაშვილმა არ უნდა იყვიროს ამაზე. თუ მოდიხარ და მეუბნები, რომ გვენეტაძე დაგემუქრა, გამოდი და ეს პირდაპირ ეთერშიც თქვი!



უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ შეურაცხყოფისთვის ახალი რეგულაციები საჭირო სულაც არ არის, რადგან ყოველივე კანონში ისედაც გაწერილია:

– მოსამართლის შეურაცხყოფაზე უნდა იყოს ისეთივე სასჯელი, როგორც სხვა დაზარალებული პირისთვის. შეურაცხყოფა ისედაც ისჯება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლია და ეს საკითხი იქ არის გაწერილი.

– მაშინ რატომ გამოდის ევა გოცირიძე ამ ინიციატივით?

– ნამდვილად ვერ გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ჩემი პოზიცია არის ის, რომ ეს საკითხი ცალკე რეგულირებას არ საჭიროებს და ამაზე სტრასბურის სასამართლოსაც აქვს მიღებული გადაწყვეტილება, რომ მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ კრიტიკამ დააჭვნოს.



გელა ნიკოლაიშვილი: „მოსამართლეები არ არიან ნაზი ყვავილები, რომ კრიტიკამ დააჭვნოს“

კრიტიკასა და ლანძღვა-გინებას შორის არის ზღვარი და ეს ზღვარი არის უკვე შეფასების საგანი, გამიჯნულიც არის, საერთაშორისო პრაქტიკაც არის და თუ ვინმე ჩათვლის, რომ მის მიმართ გადაილახა კრიტიკის ზღვარი და გადასულია ლანძღვაზე და პირად შეურაცხყოფაზე, ასეთ შემთხვევაში კანონი არეგულირებს ამას. დღესდღეობით რა რეგულაციებიც არსებობს, ეს სრულებით საკმარისია. უბრალოდ, უნდა ამოქმედონ ეს კანონი. თუ კანონს ვერ ამოქმედებენ, ისევე და ისევე მოსამართლეების ბრალია.



„მაინტერესებს, შერჩა თუ არა სინდის-ნამუსი“

მამუკა ახვლედიანი ნინო გვენეტაძესთან მუქარის შემცველი საუბრის დეტალებს იხსენებს

საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ნინო გვენეტაძესთან მუქარის შემცველი საუბრის დეტალებს იხსენებს.

მამუკა ახვლედიანი ადასტურებს ინფორმაციას, რომ რამდენიმე თვის წინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უზენაესი საბჭოს წევრობის კანდიდატ ევა გასიტაშვილის მხარდაჭერა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა, რომ ის ახვლედიანის წინააღმდეგ მომართულ ჩინალაძე-მურუსიძის დაჯგუფებას მიემხრობდა.

ბას მიემხრობდა.

– გვენეტაძეს ჰკითხეთ, მე მართლა მაინტერესებს, შერჩა თუ არა სინდის-ნამუსი და დადასტურებს თუ არა ამ თემას. გამაფრთხილა, რომ ხომ იცი, რა დამოკიდებულება აქვთ მათ შენდამი და მეც მათ გვერდით აღმოვჩნდები და ნახავ შენ, რა სიტუაციაში შეიძლება ჩავარდე. თუ თვლის პროკურატურა, რომ დანაშაულის ნიშნებია, მე რასაც ვამბობ, ამას გავიმეორებ ნებისმიერ დროს, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

ნიუბოსტი



„ფანტაზიის ნაყოფი“ მურუსიძე ხაბიაშვილის განცხადებას პასუხობს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან მოსამართლეებზე ზეწოლა ხორციელდება, ფანტაზიის ნაყოფს უწოდებს.

მისივე თქმით, ზეწოლის შესახებ მისთვის არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს და არც სხვა მოსამართლეებს არც ერთხელ არ მიუმართავთ.

– არავის, არც მამუკას თავის დროზე არ მოუმართავს პირადად ჩემთვის და საბჭოსთვის, რომ ვინმე ახორციელებდა ზეწოლას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჰაერზე ვილაპარაკოთ ისეთი თემები, რაც არ არის მტკიცებულებით დადასტურებული. გასაგებია ეს პოზიცია, მაგრამ ახლა არ ვგვლი საჭიროდ, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი თემა, რომელზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

სიმართლე გითხრათ, ადვოკატთა ასოცია-

ციის თავმჯდომარე რა განცხადებებს გააკეთებს, მე ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ. იმიტომ არ ვაკეთებ, რომ არ მიმაჩნია სერიოზულად. ეს არის ფანტაზიის ნაყოფი, არაფერ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ ხდება და იმაზე საუბარი, რაც არ შეესაბამება სიმართლეს და არც არის აქტუალური, ამაზე მე კომენტარს ვერ ვაკეთებ, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

ნიუბოსტი



აღსანიშნავია, რომ შეფასების შედეგები კონკრეტულია. შეფასების შედეგებზე ნედლა გააჩნიათ საჯარო დანესებულების ხელმძღვანელს, კურატორ მოადგილეს, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულს, უშუალო ხელმძღვანელს, შესაფასებელ/შეფასებულ მოხელესა და ბიუროს.



ლევან მურუსიძე მედიას — ახლა ბურთი არ არის იუსტიციის საბჭოს მოედანზე, ბურთი არის თქვენს მოედანზე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე საბჭოს ინიციატივას, სასამართლოს სისტემაში არსებული პრობლემური ტენდენციების გაშუქებაზე, კიდევ ერთხელ განმარტავს. როგორც მურუსიძემ აღნიშნა, ინიციატივა არ ითვალისწინებს ცენზურას და მედია დღეს საქართველოში არის თავისუფალი. მურუსიძის შეფასებით, ქართული მართლმსაჯულების პრესტიჟი მედიის ინტერესში უნდა შედიოდეს.

— მინდა მივმართო მედიას, რომლის მიმართაც უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ, ვალიარებ მათ კომპეტენციას. არ იფიქროთ და არ წარმოიდგინოთ, რომ უშუალოდ ლევან მურუსიძეს ან კონკრეტულ მოსამართლეს სჭირდება დაცვა. მიმართა, თუ მედია გადადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს წინ, გაიაზრებს და გააცნობიერებს, რომ დამოუკიდებელი მართლმსაჯულება, მისი ღირსება და პრესტიჟი მათი საზოგადოება და ის თავისუფლება და ნიჭი, რაც გააჩნია დღეს ჩვენს მედიას, გამოიყენებს არა მარტო კრიტიკული და ნეგატიური სიუჟეტების გასაყვებლად, რაც მათი უფლებაა თავისთავად, არამედ თუ თქვენს ნიჭს, ძალისხმევას, უნარს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და გამოხატვის თავისუფლებას გამოიყენებთ იმ საერთო მიზნის გასაძლიერებლად, რასაც ჰქვია მართლმსაჯულების ღირსება და ავტორიტეტი, ძალიან კარგი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით შეკრებაზე,

პოზიციების გამოხატვასა და საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებაზე ჰქონდა თხოვნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ახლა მედიის ყველა წარმომადგენელს და შეთავაზების ადრესატს სრული თავისუფლება აქვს გადანაცვით, თავიანთ ნიჭს, უნარს, თავისუფლებას გამოიყენებს იმისთვის, რომ იყოს მხოლოდ კრიტიკა და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი ლანძღვა, თუ გავერთიანდებით საერთო მიზნის მისაღწევად, რასაც ჰქვია მართლმსაჯულების პრესტიჟი, ღირსება და დამოუკიდებლობა. ახლა ბურთი არ არის იუსტიციის საბჭოს მოედანზე, ბურთი არის თქვენს მოედანზე, — განაცხადა ლევან მურუსიძემ.

— მინდა ვურჩიო „ახალგაზრდა იურისტებს“, ყურადღება გაამახვილონ არა სახელწოდების პირველ სიტყვაზე, არამედ იურისტობასაც მიხედონ ცოტა, — ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მის შესაძლო უფადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებზე კომენტარებისას განაცხადა.

როგორც მურუსიძემ აღნიშნა, თუ კანონი გადანაცვლეს, რომ მოსამართლეები უფადოდ უნდა დაინიშნონ, ეს შეესაბამება იმ ადამიანს, ვისაც კანონი ესადაგება.

მურუსიძე მოუწოდებს არასამთავრობოებს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობისთვის დონეზე ითანამშრომლონ.

— არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვეუწოდებ, თუ ისინი სახელმწიფოებრივად იფიქრებენ, უნდა გააანალიზონ ერთი ფაქტი, რომ ლევან მურუსიძე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩია მოსამართლეთა კონფერენციამ. თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს სურთ ურთიერთობა და თანამშრომლობა, ეს უნდა იყოს ურთიერთპატივისცემის დონეზე. მე მაგალითად, პატივს ვცემ „ახალგაზრდა იურისტების“ გადამწყვეტილებას, რომელმაც ანა ნაცვლიშვილი აირჩია თავის თავმჯდომარედ. აქედან გამომდინარე, არ მიკადრებია საკუთარი თავისთვის, რომ მესაუბრა იმაზე, შეესაბამება თუ არა ქალბატონი ანა თანამდებობას, — განაცხადა ლევან მურუსიძემ.

მისივე თქმით, კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს და კონკრეტულ პიროვნებებზე არ უნდა იყოს საუბარი.

— მაშინ ჩვენერთი კანონში, რომ უფადოდ გადაინიშნოს ყველა მოსამართლე, გარდა ლევან მურუსიძისა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ვენეციის კომისიას, დაანებოთ ორმაგ სტანდარტებს თავი, — განაცხადა მურუსიძემ.

მისივე თქმით, იუსტიციის უმაღლეს საბ-



ჭოს და სასამართლო ხელისუფლებას მიაჩნია, რომ არასამთავრობო სექტორის, კერძოდ „ახალგაზრდა იურისტების“ შეფასებები სხვადასხვა თემებზე არ არის კომპეტენტური.

— მინდა რჩევა მივცე „ახალგაზრდა იურისტებს“, ეს ტერმინი — ახალგაზრდა იურისტები — არის შესანიშნავი და ძალიან კარგი, მაგრამ ჩემი თხოვნა და მოწოდება იქნებოდა, ყურადღება გაამახვილონ არა სახელწოდების პირველ სიტყვაზე — ახალგაზრდებზე, არამედ იურისტობასაც მიხედონ ცოტა. კარგია ახალგაზრდა იურისტები, მაგრამ სჯობს ვიყოთ უფრო მეტად იურისტები, ვიდრე ახალგაზრდები, — განაცხადა მურუსიძემ.

„ლაგუნა პეკინთან“ ერთმანეთს ორი ავტომობილი შეაჯახა

თბილისში, „ლაგუნა ვერესთან“ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. დაზარალებული ერთი პირი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.



პროკურორა მათა ჯვარაშვილმა მოსამართლეობის სპეციალიზაციაზე გამოთქვა



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობა კიდევ ერთ პროკურორს სურს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად განცხადება ბოლო წლებში რამდენიმე გახმაურებული საქმის პროკურორმა მათა ჯვარაშვილმა შეიტანა.

ჯვარაშვილი ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმის პროკურორი იყო, რომელზეც ბრალი კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებს აქვთ წაყენებული. ის ასევე მუშაობდა ბაჩო ახალაიას ბრალდების საქმეზე სერგო თეთრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ჯვარაშვილმა აღნიშნულ საქმეზე რევაზ ნადოიშვილმა, რომელსაც ასევე აქვს შეტანილი განაცხადი მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

მათა ჯვარაშვილი ამჟამად პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორია. მას წარსულში მოსამართლე მუშაობის გამოცდილება აქვს. ის სასამართლო სისტემაში 2010 წლამდე მუშაობდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მათა ჯვარაშვილი მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში უკვე მეორედ მონაწილეობს. მას განაცხადი მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად 2013 წელსაც ჰქონდა შეტანილი.

ყალბი 100-ლარიანი კუპონების გასაღების ფაქტი ორი პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის გასაღების ფაქტი ორი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს ორმა მოქალაქემ ეთნოკურ პირზე მოტყუებით გაასაღა 12 ერთეული ყალბი 100-ლარიანი კუპონი. საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფული ნივთმტკიცებულების სახით ამოიღო.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე.

პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ნაბიჯი — „სასამართლო სოფარია დახარალებულად სწო“

საია ირაკლი ხოფერიას შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. როგორც ცნობილი ხდება, ხოფერია სასამართლომ დაზარალებულად სწო, საქმე ეხება სავარაუდოდ, პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ნაბიჯის ფაქტზე გამოძიებას, რომელიც 2017 წლის მარტიდან მიმდინარეობს.

— 2017 წლის 2 მაისს მიღებული განჩინებით, ირაკლი ხოფერია, რომელსაც პროკურატურა დაზარალებულად ცნობაზე უარს ეუბნებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაზარალებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ არსებითად საკმარისი საფუძველი, რომ პროკურორმა გამოიტანოს დადგენილება ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ირაკლი ხოფერიას სავარაუდოდ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ნაბიჯის ფაქტზე გამოძიება 2017 წლის მარტიდან მიმდინარეობს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომელიც ირაკლი ხოფერიას ინტერესებს იცავს, ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით განცხადებით თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმის ზედამხედველ პროკურორს მიმართა, რომელმაც მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ საკითხზე წარდგენილი საჩივარი არ დააკმაყოფილა არც შემდგომმა პროკურორმა. პროკურატურის განმარტებით, გამოძიების მიმდინარე ეტაპზე არ არსებობდა ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის საფუძველი.

პროკურატურის მიერ მიღებული უარის შემდეგ, საია-მ 2017 წლის 21 აპრილს სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობა. სასამართლომ სრულად გაიზიარა საჩივარში მოყვანილი არგუმენტები, და მოთხოვნა დააკმაყოფილა.

სასამართლომ განმარტა, რომ დაც-



ვის ეფექტური საშუალება გულისხმობს სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების წარმოებას დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მიზნით.

— ამ ფონზე კი მომჩივანისათვის საგამოძიებო პროცედურები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ხოლო ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმეზე გადის კონკრეტული სტატუსის მოპოვების შემდგომ.

მოცემულ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილია, რომ ირაკლი ხოფერიას მიმართ შესაძლოა განხორციელდეს ნაბიჯი, სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული თანამშრომლების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე ბრალი არ წარდგენია არავის, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს რაიმე ხელშეშელ გარემოებას ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობისათვის.

შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ „პროკურორმა უსაფუძვლოდ უთხრა უარი ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობაზე, რითაც ფაქტობრივად პირს მოესპო საშუალება, ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით.

საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება არ საჩივრდება, — აღნიშნულია საიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ელისო კილაძე და ზვიად კუპრაძე გიორგი მღებრიშვილს პროკურატურაში უჩივლენ



გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ მთავარმა რედაქტორმა ელისო კილაძემ და „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზვიად კუპრაძემ შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების მოთხოვნით მთავარ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ელისო

კილაძემ განუცხადა, საქმე ეხება მინისტრის არადეკლარირებულ ქონებას.

— 2016 წლის დეკლარაციაში მინისტრს აქვს ბინა ფოთის ქუჩაზე, რომელიც 2017 წლის დეკლარაციაში არ ფიგურირებს, ასევე არ ფიგურირებს ამ ბინის გაყიდვიდან შემოსული რაიმე თანხა. საჯარო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, მინისტრს აქვს ორი მინის ნაკვეთი.

